ლელო

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაზეთი

18 ნოემბერი, კვირა, 1990 წ.
№ 220 (10 389) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ქართული სპორტი — მხოლოდ აღმავლობის გზით!

რესპუბლიკამ გაიხარა ახალი მრავალპარტიული არჩევნების შედეგებით. როგორც კონკრეტული ადამიანები, ისე ჩვენი ცხოვრების ცალკეული დარგები, პოზიტიური გარდაქმნების იმედით შეპყურებენ ახალ პარლამენტს. გამონაკლისი, ცხადია, არც ფიზკულტურისა და სპორტის სფეროა. ახლა მთელი ყურადღება გადატანილია ახალი, ეროვნული სპორტული მოძრაობის მოდელის შექმნაზე. რედაქციაში ბოლო დღეებში, ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მომრავლდა წერილები. ზოგიერთი შეშფოთებას გამოთქვამს მოხალოდნელი რეორგანიზაციის გამო, რაც ძირითადად მოარული ხმების გამოძახილია.

აქვს თუ არა საფუძველი ჩვენი სპორტული სამყაროს შეშფოთებას, რომ შეხაძლოა სბაზრო ეკონომიკის, საერთოდ ეკონომიკური, სოციალური და, თუ გნებავთ, საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის პირობებში ქართული სპორტი დაზარალდეს? ვფიქრობთ, ეს შიში უსაფუძვლოა, რადგან, საქართველო წარმოუდგენელია სპორტის გარეშე. ჩვენი ერისთვის სპორტი მხოლოდ სპორტი არ არის. აქ უველაზე თვალხილულად ვლინდება ქართველი ხალხის ბუნება, მისი რაინდული სული და შემართება, მისი სწრაფვა გამარჯვებისაკენ. დიახ, სპორტი ქართველ ხალხს პაერივით ესაჭიროება. სპორტი, თუ გნებავთ, ჩვენთვის, ცხადია, კარგი გაგებით, პოლიტიკაცაა, როგორც შინ, ისე საერთაშორისო სარბიელზე. აკი, ეს დამტკიცდა კიდეც, როცა ქართული ფეხბურთი სრული დამოუკიდებლობის გზას დაადგა. ამიტომ, რეალური იმედია იმისა, რომ აწი და აწი, უფრო გავაფართოვებთ მსოფლიო სპორტულ სამყაროსთან კონტაქტებს. უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აღიაროს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომ ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს წარგზავნილებს წინ ეროვნული დროშა მიუძღოდეს.

ქართველი სპორტსმენები თავდადებით ემზადებიან მომავალი ოლიმპიადისათვის. ამ მზადებაში მათთვის დიდი სტიმულია ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე ცვლილებები. ჩვენ ხელთა გვაქვს სია, სადაც შესულია საქართველოს 40-მდე სპორტსმენი, თავისი ოსტატობით, ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლის უფლებას დღესვე რომ იმსახურებენ.

ხოლო, თუ ბარსელონაში დამოუკიდებლად წავალთ, ეს რიცხვი შეიძლება გაათმაგდეს კიდეც.

საქართველო სპორტული რესპუბლიკაა, თანაც ისეთი, ოლიმპიურ თამაშებში, აქამდე მსოფლიოს ყველაზე სპორტული ქვეყნების პირველ ოცეულში თუ შედიოდა, ახლა შეიძლება, დამოუკიდებლად, ათეულში მოხვდეს. ბევრი ქვეყანა ვერ დაიტრაბახებს ჩვენეულ წარმატებებს. გავიხსენოთ: საქართველოში 80-ზე მეტი ოლიმპიური ჩემპიონი და პრიზიორი გვყავს. სეულის ოლიმპიადაში 1988 წელს ჩვენმა 16-მა სპორტსმენმა 12 მედალი მოიპოვა, აქედან — 5 ოქროსი. 160 ქვეყანას შორის ოქროს მედლებით საქართველომ სეულში გაიყო XI-XIV ადგილი; ეს მაშინ, როცა 129 ქვეყანა ამ თამაშებში საერთოდ ოქროს მედლის გარეშე დარჩა. ეს მიღწევა ჩვენი ხიამაყეა და მონაპოვარს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, თუ გვსურს, მომავალ თამაშებში დამოუკიდებელი სპორტული დელეგაციით წარვდგეთ და უფრო თვალსაჩინო ნადავლით დავბრუნდეთ საქართველოში.

უამრავი კითხვა იბადება იმასთან დაკავშირებით, თუ რა გზით წავა ქართული სპორტი. რაღა თქმა უნდა, ოპტიმალური გზების ძიებაა საჭირო, რომ შეინარჩუნოთ, გავაღრმავოთ და განვამტკიცოთ დიდ სპორტში ეროვნული ტრადიციები. ასევე ეფექტური ნაბიჯის გადადგმაა საჭირო, რომ ორგანიზებულად წარიმართოს რეზერვის მომზადება, რადგან, ვერსად გავექცევით ჭეშმარიტებას — ახალგაზრდა თანმიმდევრობის შენარჩუნების გარეშე შეუძლებელია სპორტში თაობათა ცვლის პროცესის უმტკივნეულოდ გადაკვრა. ქართული სპორტი, როგორც ჩვენი ხულიხა და გენის ნაწილი, ერამც და არამც არ აღმოჩნდება მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღების გარეშე, იგი კვლავაც იგრძნობს სახელმწიფოებრივ ზრუნვას, რადგან თავადაა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დარგი.

მაგრამ ერთია ხურვილი და მეორე მისი რეალური განხორციელება. ამიტომ „ლელოს“ რედაქცია თხოვნით მიმართავს ყველას — სპორტის მუშაკებს, ცნობილ სპორტსმენებს, ეკონომისტებს, იურისტებს, სპორტის გულშემატკივრებს, საერთოდ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, ვიმსჯელოთ, ვისაუბროთ, გაზეთის ფურცლებზე საერთო განსჯით ავირჩიოთ ხურვილის ხორცშესხმისა და მიზანთან მისახვლელი ყველაზე ხელსაყრელი გზა.

ასევე გვინდა, თქვენმა წინადადებამ ახახვა ჰპოვოს გაზეთის ფურცლებზე იმის შესახებ, თუ როგორ ვაქციოთ ჩვენი საერთო ყოფიხა და კულტურის განუყოფელ ნაწილად ფიზიკური კულტურა, რა მოვიმოქმედოთ, რა ღონისძიებები გავატაროთ მოსახლეობის საყოველთაო გაჯანსაღებისათვის.

ველით თქვენს გამოხმაურებას!

წოდების მინიჭება

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: კრივში — აკაკი კაკაურიძეს (ქუთაისი, „მართვე“), რამაზ ფალიანს (მესტია, „შევარდენი“), კახაბერ ბარავის (თბილისი, „მართვე“); **აკრობატიკაში** — ნიკოლოზ მუელიძეს (თბილისი, „დინამო“), ვაჟა არაყიშვილს, ემზარ აბუაშვილს, დიმიტრი კარტოზიას (სამივე — თბილისი, ასკ), ირმა ოვოიანს (თბილისი, „მართვე“).

წარმოგიდგენთ კანდიდატებს: საქართველოს ათი საუკეთესო სპორტსმენი. გუნდი, მწვრთნელი

სამეულიდან სამეულამდე

ინგა გიორგობიანი

მანანა მნათობიშვილის, ნანა კიკალაშვილისა და მაია შილაკაძის ბრწყინვალე გამარჯვებამ 1980 წლის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე აკრობატიკის ქართველ სპეციალისტებსა და გულშემატკივრებს დიდ სიხარულთან ერთად საფიქრალიც გაუჩინა და არცთუ უსაფუძვლოდ: ეს სამეული 2-3 წელში დაიშალა. ბუნებრივია, მსოფლიო მასშტაბის მიღწევებით განებივრებულ სპორტის ქართველ მოყვარულებს ძველი დიდების ნაცვლად ახალი სწყუროდათ, ამასთან, რაც შეიძლება მალე.

ვლადიმერ გურგენიძეს, ამ მართლაც -სპორტისთვის გადაგებულ კაცს, ზემოხსენებული სამეულის აღმზრდელს, სულ რამდენიმე წელი დასჭირდა, რომ ეს წარმატება კვლავ გაემეორებინა მის მიერ ჩამოყალიბებულ „ახალ სტრიოს“, 1988 წელს ინგა გიორგობიანმა, ნატალია ანისიმოვამ და სვეტლანა მაკარიჩევამ ანალოგიურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, სულ ახლახან კი ბელგიიდან კვლავ „ხელდამშვენებულნი“ დაბრუნდნენ — მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატზე მათ 8 მედალი მოიპოვეს, ოღონდ სპორტიდან წასულ ს. მაკარიჩევას ნაცვლად „ვაკანსია“ ირინა ოვოიანმა შეავსო.

ინგა გიორგობიანი ნატალია ანისიმოვასთან ერთად ჯგუფის უცვლელი წევრია. თუ ვინმეს უკვირდება ქართული აკრობატიკის ბოლოდროინდელი მიღწევები, უპირველესად მას და არც მკითხველისთვის იქნება ინტერესს მოკლებული, გაეცნოს ქართული სპორტის კიდევ ერთი გამოსაცანის — ინგა გიორგობიანის აღმასვლას.

● ინგა, დიდ გამარჯვებებს ყოველთვის აქვს ხაფუძველი და ყველა დიდი სპორტსმენი სხვადასხვაგვარად იწყებს თავის სპორტულ კარიერას...

7 წლის ვიყავი, როცა მშობლებმა მიმიყვანეს ტანვარჯიშის სკოლაში სპორტული ტანვარჯიშის მწვრთნელ დალი კილაძესთან. 3 წელი დავყავი იქ, დედაჩემი აქტიურობდა ძალიან, ტანმოვარჯიშეს უნდა გამოვიდეს ჩემი შვილიო, მშობლებიც ბევრს ეცადნენ. მწვრთნელებიც, მაგრამ არ გამოვიდა ჩემგან ტანმოვარჯიშე, მონათესავე სახეობაში კი ვივარგე...

ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ჩვენს სატანვარჯიშო სკოლას ალექსანდრე მელოიანი ეწვია, როგორც შემდეგ გავიგე — აკრობატიკის სპეციალისტი. სპორტის ამ სახეობისთვის შესაფერის ბავშვებს არჩევდა ტანმოვარჯიშეებში. ეს ცნობილი ტრადიცია დღესაც გრძელდება — ტანვარჯიშში თუ ვერ იკ-

იხ. მე.2 გვ.

ჩვენივე საუნჯე — ჩვენივე მისახედია!

ნუ მიეცემა დავიწყებას

ამ გოლო დროს „ლელო“ ხშირად აქვეყნებს წერილებს ეროვნული სპორტის სახეობათა აღორძინების შესახებ, რომელთა შორის დიდი ადგილი უჭირავს ქართულ ჭიდაობას და ცხენოსნობას. ამ უკანასკნელის შემდგომი პოპულარობა აუცილებელი და მეტად საჭირო საქმე გახლავთ.

ამა წლის 4 სექტემბერს ვნახე სატელევიზიო გადაცემა „ძალოლა სამურზაყანოში“, სადაც საუბარი იყო ცხენოსნობაზე და მის განვითარებაზე, აჩვენეს შეჯიბრებებიც. სიმართლე გითხრათ, გამახარა მხედართა ოსტატობამ და გული მწყდება, რომ ცხენოსნობა საქართველოში მივიწყებას მიეცა. ქართველი კაცისათვის ცხენი ერთგული მეგობარი იყო საბრძოლო თუ შრომით საქმიანობაში, გავიხსენოთ ფარსმან ქველი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეფე და მრავალი შესანიშნავი მამულიშვილი. მათ მიერ მოხდენილად ცხენთა ჯირითი და ხმალთა კვეთება განაცვიფრებდა მნახველს. დღეს კი, ცხენოსნობა, შემორჩა როგორც სპორტის სახეობა.

ჩემი დიდი სურვილია, რესპუბლიკის ხელმძღვანელთა დახმარებით იმ რაიონებში, სადაც კი შესაძლებელია, დაინერგოს სპორტის ეს შესანიშნავი სახეობა, რაც დიდად მიზიდავს ჩვენს ახალგაზრდობას, გამოაწრთობს და განამტკიცებს მის ჯანმრთელობას.

ვ. კაკაბაძე,
რესპუბლიკის წარჩინებული მასწავლებელი.

თბილისში... სატყორცნად

კლუბი უფრო იაფია

ბოლო ხანს, ადამიანების მსგავსად, ქალაქების დამეგობრებაც ჩვეულებრივი ამბავი ვახდა. მეგობარი კი, მოგეხსენებათ, ძველი განსაკუთრებით ფასობს და, თუ თბილისის ძმობილებს ჩამოვთვლით, ლიუბლიანას გამოვარჩევთ სხვებისაგან, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი ურთიერთობის მადლი ჩვენმა დედაქალაქმა პირველად მასთან გაიყო.

ეს საოცრად მიმზიდველი სახელი — ლიუბლიანა, რომლის „შინაარსიც“ ასევე მშვენიერია, არცთუ იშვიათად გაისმის თბილისში, მით უმეტეს უცხოეთთან ურთიერთობის ჩვენებურ მწირ პირობებში.

ამჟამად თბილისს ეწვევნენ ლიუბლიანელი მძლეოსნები, რომლებიც აქ ქალაქის პროფკავშირების მძლეოსნობის სკოლამ მოიწვია (ცოტა უფრო ადრე ამ სკოლის გუნდი ჩავიდა სლოვენიის დედაქალაქში). სიტყვას ვაძლევთ სტუმართა თავკაცს, სპორტულ კლუბ „იბლ ოლიმპიის“ პასუხისმგებელ მდივანს ბრანკო ზორანდს:

— ჩვენს გუნდში მხოლოდ მტყორცნელები არიან, მათ შორის ერთი — ნატაშა ერიავეცი, იუგოსლავიის ჩემპიონია. ლიუბლიანაში ზამთარში ვარჯიში ცოტა გვიჭირს, ტყორცნის სექტორები არ გვაქვს, აქ კი უფრო უკეთესი პირობები გქონიათ, მით უმეტეს, რომ მასპინძლები ყოველმხრივ გვიწყობენ ხელს, რომ კარგად ვივარჯიშოთ.

თუმცა, ერთი რამ მაინც გამიკვირდა: ლიუბლიანის ცენტრალურ სტადიონზე არავინ გვიშლის შუბის ტყორცნას, აქ კი, თვით უმნიშვნელო საფეხბურთო მოედანზეც კი ეშინიათ ამისა, მოედანი გაფუჭდებაო. სულ ტყუილად...

● რამდენადაც ვიცით, ახლა თქვენთანაც ბევრი რამ იცვლება. რამდენად შეეხო ხიახლეები სპორტს?

— მნიშვნელოვნად. პირველ რიგში, შემცირდა ადმინისტრაციული აპარატი, სულ უომისობაც არ იქნება, მაგრამ ხელმძღვანელთა ოპტიმალური რიცხვია საჭირო. სპორტს შეუმცირდა სახელმწიფო დოტაცია, შეიცვალა მისი სახეც, რომელიც აღნიშნულ დანაკლისს ერთგვარად აწონასწორებს: ახლა მთავრობა მსხვილ ფირმებს მიმართავს დაეხმარონ სპორტს, ოღონდ ფირმები თვითონ ირჩევენ იმ სახეობას ანდა სახეობებს, სადაც

ისინი უკუგებას მიიღებენ რეკლამის, მარკეტინგში ხელის შეწყობით და სხვა სახით. სპორტი ახლა სპონსორობის გარეშე ველარ იარსებებს.

ჩვენთან, ალბათ გეცოდინებათ, საკლუბო სპორტია დანერგილი. ამ თორმეტ-ცამეტი წლის წინ ვცადეთ, სპორტული სკოლები შეგვექმნა ისე, როგორც თქვენთან არის. მაგრამ ეს ძალზე ძვირად ღირებული ექსპერიმენტი აღმოჩნდა...

სურათზე: ლიუბლიანელი მძლეოსნები საქართველოს სპორტსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

სამეულიდან სამეულამდე...

(დასასრული)

რგე, ან აკრობატიკაში სცდი ბედს, ან ბატუტზე ხტომაში; უიღბლო აკრობატები და ბატუტისტები კი — პირიქით... მოკლედ, მელოიანს მოვეწონე, აკრობატიკაში ივარგებსო და ტანვარჯიშზე ისედაც ხელჩაქნეულმა ისე შევიცვალე „პროფესია“. სამწუხაროდ, ბატონი ალექსანდრე მალე გარდაიცვალა და ჩემზე დახარჯული ამაგისა და ენერგიის ნაყოფს ვერ მოესწრო. მასთან სულ 3 წელი დავყავი და რაიმე სერიოზული წარმატებისთვის არ მიმიღწევია. ამის შემდეგ ჩემი პედაგოგი ბატონი ვლადიმერ გურგენიძე გახდა. მან თავიდან ორეულში მიმიჩინა ადგილი ქეთინო სახვაძესთან ერთად და მალე მე და ქეთინომ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე II ადგილი დავიკავეთ. თუმცა, მანამდეც არაერთხელ მოვიგეთ საქართველოს ჩემპიონატები, თასები, სხვადასხვა ტურნირები... მალე დაიშალა ჩვენი „დუეტი“.

ამ დროს ნატალია ანისიმოვამ დაიწყო ჩვენთან ვარჯიში. ისიც ყოფილი ტანმოვარჯიშეა. მე და ნატალიას ვლადიმერ მასწავლებელმა ერთადერთი „პროფესიონალი“ აკრობატი მარინე შაღაშვილი დაგვიმატა და ამ დღიდან ჩაეყარა საფუძველი ახალ სამეულს, რომელსაც უნდა გაეგრძელებინა მანანა მნათობაშვილის, ნანა კიკილაშვილისა და მაია შილაკაძის სახელოვანი ტრადიციები. გავამართლეთ: ერთი წელიც არ იყო გასული სამეულის შექმნიდან, რომ საკავშირო ჩემპიონატში გავიმარჯვეთ. მალე, 1986 წელს, საკავშირო IX სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორები გავხდით და ამასთან ვერცხლის მედალი მოვიპოვეთ საბჭოთა კავშირის პირველობაზე. მაგრამ მალე მარინა შაღაშვილი, ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, „გაიზარდა“ და ჩამოსცილდა სპორტს, შემცვლელი კი არავინ ჩანდა.

მაგრამ ვ. გურგენიძის ალღოიანმა თვალმა მალე მოძებნა ახალი „მესამე“ — ტალინელი ტანმოვარჯიშე სვეტლანა მაკარიჩევა და, მართალია, სახეშეცვლილი, მაგრამ მაინც სამეული შევინარჩუნეთ. სვეტლანამ საოცრად მალე შეითვისა აკრობატიკა, მით უმეტეს, ჯგუფური ვარჯიში და ექვსთვიანი „ადაპტაციის“ შემდეგ საბჭოთა კავშირის თასი და ჩემპიონატი მოვიგეთ. იმავე 1988 წელს საკავშირო ნაკრებთან ერთად ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გავიმარჯვეთ. მაგრამ მალე ს. მაკარიჩევასაც მ. შაღაშვილის ბედი ეწია, დაგვემშვიდობა და ახლა მისი ადგილი დაიკავა ირინა ოვოიანმა, რომელიც ჯერ მხოლოდ 16 წლისაა და წინამორბედებზე არანაკლებ ნიჭიერი და შრომისმოყვარე სპორტსმენია. ახალი შემადგენლობით კი, როგორც იცით, ბელგიაში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გავიმარჯვეთ.

● ორგზის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონს, არაერთ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულს, ტკბილი დღეებიც ბევრი გექნება მოსაგონებლად. მაინც რომელია მათგან ყველაზე ღირსსახსოვარი?

— 1988 წლის 5 დეკემბერი. მაშინ ხომ პირველად გავხდი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი.

● მიუღწეველი რა დაგრჩა სპორტში?

— ყველა ქართველი აკრობატის ოცნებაა, მოიპოვოს მსოფლიო თასი, მით უმეტეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის სამეულს ამგვარი წარმატებისთვის ჯერ არ მიუღწევია. ვნახოთ, იქნებ ამჯერად მაინც გავტეხოთ ნავსი — გაისად მაისში მიწვეულები ვართ იაპონიაში მსოფლიო თასის გათამაშებაზე...

● ვის უმადლი ყველაზე მეტად წარმატებებს?

— რა თქმა უნდა, ჩემს შწვრთნელებს — ვლადიმერ გურგენიძეს და დალი თავართქილაძეს. მშობლებიც დიდად მეხმარებიან, ვარჯიშის გარდა სხვა პრობლემებმა რომ არ შემაწუხოს.

● „ცენტრის“ მტაცებლური დამოკიდებულება სპორტსმენებისადმი ყველასთვის ცნობილია. ცხადია, თქვენც — აკრობატებსაც „გაგიყვიათ“ საკავშირო სპორტსახკომისთვის ფულადი პრემიები.

— ადრე მართლაც ძლივს ვაკმაყოფილებდით სპორტსახკომის „გაძლიერებულ მადას“, ეს ორი წელია, რაც თავი დაგვანებეს, ახლაც, „ბელგიური საპრიზო ფონდი“ მთლიანად შინ ჩამოვიტანე, რადგან 4 ათასი მარკა იქვე, ხელზე მომცეს. ისე, აკრობატებს რა გვაქვს, რა უნდა წაგვართვან? — ჩვენი ტურნირები მეტწილად არაკომერციული, ნაკლებად შემოსავლიანია. აი, ჩოგბურთი, ჭადრაკი, კრივი სულ სხვაა...

● შენი დაოჯახება არ გამოგვპარვია. სპორტსმენი ქალები გათხოვების შემდეგ ხშირად ტოვებენ სარბიელს და თითო-ოროლაღა შემორჩება ხოლმე სპორტს. იქნებ შენც ეს იშვიათი გამონაკლისი ხარ?

— სამწუხაროდ, ვერ გაგიმართლებთ იმედს. მსოფლიო თასის გათამაშება, ალბათ ჩემთვის უკანასკნელი შეჯიბრება იქნება, და არა მარტო ჩემთვის. სპორტში განუყრელებმა, ვერც ცხოვრებაში „ვუღალატეთ“ ერთმანეთს — მე და ნატალია ანისიმოვა ერთ თვეს დავჭორწინდით და ალბათ ერთად დავემშვიდობებით სპორტს. ესეც არ იყოს, ჩვენს შესაძლებლობებსაც აქვს ზღვარი, თუმცა კი იგი ჯერ სრულად არ ამოგვიწურია.

ესაუბრა **ლევან ჯაფარიძე**

საქართველოს X სპარტაკიადა და ჩემპიონატი სამგოში

სასიამოვნო მოულოდნელობანი

სამგისტა მრავალი საინტერესო ორთაბრძოლის მოწმე გახდა რესპუბლიკის X სპარტაკიადისა და საქართველოს ჩემპიონატის პროგრამით გამართულ შეჯიბრებზე მისული თბილისელი მაყურებელი — გამოვლინდა ახალი სახელები, ბევრ წონით კატეგორიაში უკომპრომისო ბრძოლა გაჩაღდა.

მიღების დღეს აწონვაზე არ გამოცხადდნენ კასპის და ოზურგეთის გუნდები, რომლებიც ამის გამო არ დაუშვეს სპარტაკიადაზე. მსაჯთა და წარმომადგენელთა გადაწყვეტილებით, ამ გუნდების წევრებს ნება დართეს ეასპარეზათ პირად პირველობაში. სპარტაკიადის პროგრამით პირველ-მეოთხე ადგილებზე გასულმა სპორტსმენებმა გაითამაშეს საქართველოს ჩემპიონატი.

გუნდურ პირველობაში კარგად მომზადებულმა რუსთაველებმა 218 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. თბილისისა და გორის გუნდები შესაბამისად მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ. აქვე გვინდა გითხრათ, რომ გორში არა ჰყავთ სამბოს ჯგუფები. ეს ვფიქრობთ, მომავალში უნდა გავითვალისწინოთ, რათა გორელებმა ისევე გაითავისონ ჭიდაობის ეს სახეობა, როგორც ძიუდო. თუ უკვე მივეჩვიეთ ფოთელთა და თელაველთა მიღწევებს, ჩვენთვის მოულოდნელი იყო ვანელ სპორტსმენთა წარმატება (მწვრთნელი ნ. მანაგაძე), მათ დაიკავეს გუნდური მეექვსე ადგილი და გაუსწრეს საგარეჯოს, აფხაზეთის და ქუთაისის ნაკრებ გუნდებს. აღსანიშნავია, ასევე ზუგდიდელ მოჭიდავეთა წარმატება — მათ პირად პირველობაში სამი საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

პირად პირველობაში კარგად იასპარეზეს ახალგაზრდა მოჭიდავეებმა: მ. მელაძემ (მწვრთნელი ზ. ბახტაძე), ბ. ჯანიაშვილმა (ო. იაძე), მ. კურდღელაშვილმა (რ. ყორღანაშვილი) ა. ბიძინაშვილმა (ე. ბიგანიშვილი), ისინი უკვე მესამე წელია ოსტატდებიან საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელთან ოლეგ იაძესთან, მონდომებულ და თავის საქმეზე შეყვარებულ სპეციალისტთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, პირად პირველობაში მოასპარეზე მწვრთნელ-სპორტსმენის, 40 წლის მცხეთელ აბესალომ წიკლაურის გამარჯვება. მან დამაჯერებლად დაამარცხა ყველა მეტოქე და პირველი ადგილი დაიკავა.

სამწუხაროდ, შეჯიბრების მსვლელობის დროს, ზოგიერთი სპორტსმენი უდისციპლინოდ მოიქცა. მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ასპარეზობიდან მოიხსნა ქუთაისელი შალვა გაბუნია. თითქოს ეს მაგალითი უნდა ყოფილიყო სხვებისთვის, მაგრამ ასევე უმსგავსოდ მოიქცა თელაველი გელა უსოიანიც, თუმცა, მას ეყო ვაჟკაცობა და ბოდიში მოიხადა.

ზია ოქროპირიძე,
ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების სამბოს განყოფილების უფროსი.

ტექნიკური შედეგები

48 კგ. 1. ემზარ ახობაძე (სამტრედია), 2. რაულ ბურკაძე (აჭარა), 3. ფრიდონ შვანგირაძე (წყალტუბო). **52.** 1. მევლუდ მელაძე (თბილისი), 2. მალხაზ გაგლოშვილი (რუსთავი), 3. ზაურ ბედუკაძე (დუშეთი) და ლაშა ღურწკაია (ზუგდიდი). **57.** 1. გოჩა მეკოკიშვილი (საგარეჯო), 2. ნოდარ კოშმატაშვილი (რუსთავი), 3. რობერტ მელქუაშვილი (გორი) და კონსტანტინე ხუბუტია (ფოთი). **62.** 1. ნიკო აღდგომელაშვილი (რუსთავი), 2. იოსებ ნადირაშვილი (თელავი), 3. კონსტანტინე შამათავა (ზუგდიდი) და მალხაზ თურქია (თერჯოლა). **68.** 1. ჯონდო მუზაშვილი (მცხეთა), 2. შალვა ბენიძე (თელავი), 3. კონსტანტინე კუსიდი (აფხაზეთი) და არჩილ ჩოხელი (თბილისი). **74.** 1. არჩილ ბიძინაშვილი (თბილისი). 2. ტრისტან ბაშაროული (კასპი), 3. ფრიდონ დიდებაშვილი (გარდაბანი) და ემზარ დოკვაძე (რუსთავი) **82.** 1. აბესალომ წიკლაური (მცხეთა), 2. გიაზი გვათუა (ფოთი), 3. თამაზ ფირცხალავა (ზუგდიდი) და მერაბ მამულაშვილი (გორი). **90.** 1. ერვანდ მარტიროსიანი (აფხაზეთი), 2. კობა თაყაძე (რუსთავი), 3. გია თევდორაშვილი (თელავი) და ილია შუბითიძე (გორი). **100.** 1. ვეფხია ავალიანი (რუსთავი), 2. დავით მაისურაძე (თბილისი), 3. მიხეილ ყუშიტაშვილი (საგარეჯო) და ვლადიმერ სიჭინავა (აფხაზეთი). **მძიმე:** 1. კობა კუპატაძე (საგარეჯო), 2. გიორგი კუჭავა (ფოთი), 3. გელა უსოიანი (თელავი) და ხვიჩა ფირანიშვილი (ვანი).

გუნდური: 1. რუსთავი, 2. თბილისი, 3. გორი;

საქართველოს ჩემპიონები:

48 კგ. — არ გათამაშებულა, **52.** მევლუდ მელაძე (თბილისი). **57.** ბადრი ჯანიაშვილი (კასპი). **62.** მამუკა კურდღელაშვილი (საგარეჯო), **68.** შალვა ბენიძე (თელავი). **74.** რამაზ გოგიაშვილი. **82.** ჯემალ გუდიაშვილი (ორივე — კასპი). **90.** ფრიდონ ყვავილაშვილი (რუსთავი). **100.** დავით მაისურაძე (თბილისი). **მძიმე:** გიორგი კუჭავა (ფოთი).

მართლაც იშვიათი წარმატება

ქართველ მოჭიდავეთა წარმატებებით აბა ვის დავაკვირვებთ. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ მათ გამარჯვებებს საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე, მაგრამ მაინც იშვიათია, როცა ერთი სკოლის, ერთი სპორტული კლუბის გუნდი საკავშირო მასშტაბის ტურნირში ერთბაშად 10 სხვადასხვა ხარისხის მედალს იმსახურებს.

დნეპროპეტროვსკის ტრადიციულ საკავშირო ტურნირში, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირი ი. ივაშენკოს სახელს ატარებს, რუსთავის 162-ე საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელთან არსებულ მოზარდთა სპორტული კლუბის ძიუდოისტებმაც მიიღეს მონაწილეობა. მწვრთნელ ჯიმშერ მუმლაძის აღსაზრდელებმა საუცხოოდ იასპარეზეს — 34 გუნდს შორის 49 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს და მთელი ათი ქულით ჩამოიტოვეს მასპინძლები— უკრაინის ძიუდოისტთა ძლიერი ნაკრები გუნდი. ასევე შესანიშნავად გამოვიდნენ რუსთაველი ძიუდოისტები პირად პირველობაში: ტურნირის ჩემპიონები გახდნენ გოდერძი სურმავა (41 კგ), ომარ მეტრეველი (53), მამუკა ჭუმბურიძე (62) და არჩილ ხელაშვილი (71). მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა ოლეგ ჯაბიევი (38), ხოლო ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს სოსო ენუქიძემ (32), რამაზ მძინარაშვილმა (35), ზაქრო მესტვირიშვილმა (45), გიორგი გოგაშვილმა (49) და პაატა ბარბაქაძემ (62).

დაგვეთანხმებით, ერთი სკოლის შესაძლებლობების კვალობაზე მართლაც ბრწყინვალე გამარჯვებაა.

რაჟდენ ბაბრიბიძე

სურათზე: **დნეპროპეტროვსკის საკავშირო ტურნირში გამარჯვებული რუსთავის 162-ე საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელთან არსებული სპორტული კლუბის ძიუდოისტთა გუნდი.**

ვოკლედ

დიდი ინტერესი გამოიწვია სოხუმში რესპუბლიკურ სტადიონზე გამართულმა აფხაზეთის პირველობის ფინალურმა მატჩმა ფეხბურთში, საპატიო პრიზისთვის ბრძოლაში ამჯერად ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალდაბის „რიწისა“ და სოხუმის გაზის აპარატის ექსპერიმენტული ქარხნის ფეხბურთელთა გუნდები არკვევდნენ ურთიერთობას.

ფინალურ სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე, როცა ანგარიში იყო — 1:1, სოხუმელებმა შეძლეს გოლის გატანა და გაიმარჯვეს ანგარიშით — 2:1. ფინალური მატჩის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის ყოფილი კატეგორიის არბიტრებს ა. სამხარაძეს, ვ. ტოროსიანსა და გ. ცირდავას აფხაზეთის სპორტსახკომის სამახსოვრო სიგელები გადაეცათ.

გ. ჯოლოსიანი,
გაზეთ „ლელოს“ მთავარი მხატვარი.

მკითხველი — გაზეთი

ჩვენთან, გორის რაიონში ქართულ ჭიდაობაში გამართულ შეჯიბრებებზე არბიტრები აღრიცხავენ ხოლმე სამქულიან გდებებს, „ქართული ჭიდაობის წესებში“ კი, რომლის ავტორიც გახლავთ სიმონ მაისურაძე, მხოლოდ ერთი და ორქულიანი შეფასებები გვხვდება. გთხოვთ განგვიმარტოთ, არსებობს თუ არა ამჟამად მოქმედ წესებში სამქულიანი შეფასება და რა შემთხვევაში გამოიყენება იგი?

ზოთა სულიაშვილი,
გორი, ფიზკულტურის მეთოდისტი.

რედაქცია დაუკავშირდა ქართული ჭიდაობის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნესა და სპეციალისტს სიმონ მაისურაძეს, რომელიც თქვენს მიერ ნახსენები ბროშურის ავტორი გახლავთ. აი, რა გვიპასუხა მან:

„ქართული ჭიდაობის წესები“, რომლის შესახებაცაა საუბარი შეკითხვაში, დიდი ხნის წინათ გახლავთ გამოცემული და მაშინ ილეთები მართლაც ერთი ან ორი ქულით ფასდებოდა. მას შემდეგ წესები გადაისინჯა, კერძოდ ის პუნქტიც, რომელიც მკითხველს აინტერესებს. 1985 წლიდან მოქმედებს ახალი წესები, რომლის თანახმადაც სამქულიან შეფასებას იმსახურებს მოჭიდავე, განსაკუთრებით ეფექტური ილეთის ჩატარებისთვის. ასეთ დროს ამბობენ ხოლმე, წმინდა გამარჯვებას არაფერი აკლდაო. რომელი ილეთებია აქ ნაგულისხმევი, უფრო დაწვრილებით წესებშია განმარტებული“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს თბილისში ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ. სტადიონზე ფეხბურთში საქართველოს რესპუბლიკის თასის პირველი გათამაშების ფინალური მატჩია:

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ცხუმი“ (სოხუმი)

ძვირფასო მეგობრებო, ფეხბურთის გულშემატკივრებო! ეს მეტად საინტერესო და ქართული ფეხბურთის საერთაშორისო ალიარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი 15 საათზე დაიწყება.

ველით თქვენს მხარდაჭერას!

დღეს, 18 ნოემბერს, თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება საქართველოს თასის ფინალური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთის პირისპირ დადგებიან წლევანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ლანჩხუთის „გურია“ და მეშვიდე ადგილზე გასული სოხუმის „ცხუმი“. ფინალური მატჩი მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს. ფეხბურთის სპეციალისტების აზრით შეხვედრა საინტერესო უნდა იყოს. როგორც „გურიაში“, ასევე „ცხუმში“ საკმაოდ არიან მაღალი კლასის მოთამაშეები, რომელთა სტაბილურ თამაშზე ამ დღეს ბევრად იქნება დამოკიდებული საქართველოს თასის ბედი.

ჩვენი აზრით, ამ შეხვედრაში მცირეოდენი ფსიქოლოგიური უპირატესობა ლანჩხუთის „გურიის“ მხარეზეა. გუნდი უკვე რამდენიმე წელია თითქმის ერთი შემადგენლობით გამოდის მინდორზე. ფეხბურთელებს კარგად ესმით ერთმანეთის და მთელ რიგ შეხვედრებში ლამაზი თამაში აჩვენეს მაყურებელს, აღსანიშნავია ისიც, რომ „გურია“ წლევანდელ გათამაშებაში თავისი შემადგენლობით ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ამიტომაც მათგან ისევე, როგორც თბილისის „იბერიისაგან“, მაყურებელი მხოლოდ მაღალ შედეგებს მოელოდა. აქვე დავძენთ, რომ „გურიამ“ არ გააწბილა თავისი თაყვანისმცემლები— მთელი სეზონი ლიდერთა სამეულშია, ხშირად კი გათამაშების სატურნიერო ცხრილში ერთპიროვნულ ლიდერადაც გვევლინებოდა; მას სათასო შეხვედრებშიც არ მოსცარვია ხელი. გათამაშება ჩინებულად ჩაატარა. წლევანდელი სეზონის მეორე წრის დასაწყისში, კოლექტივიდან მთავარი მწვრთნელის მ. ხურცილავას წასვლის შემდეგაც (ლანჩხუთელთა მთავარ მწვრთნელად გ. იმნაძე დაინიშნა), „გურიას“ მთელი სეზონის განმავლობაში არ დაუთმია მოწინავეთა პოზიციები. ლანჩხუთელთა გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც „გურიაში“ თამაშის სურვილი გამოთქვეს ლიტვის საფეხბურთო სკოლის ცნობილმა წარმომადგენლებმა —წმაყვანმა მცველმა მაკეიკასმა და თავდამსხმელმა ფრიდრიკასმა. ისინი კარგად შეეწყვნენ კოლექტივს.

მთელი სეზონი ჩინებულად ჩაატარა არაერთმა მოშამაშემ. აღნიშვნის ღირსია საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და ლანჩხუთის „გურიის“ ვეტერანის ა. ქანთარიას კარგი თამაში. წლევანდელ სეზონში ყველაზე ნაკლები — 20 ბურთი სწორედ მის კარში გავიდა. კარგად ითამაშეს მოწვეულმა ფეხბურთელებმა: მაკეიკასმა და ფრიდრიკასმა; ასევე გუნდის ვეტერანებმა: კორღალიძემ, ტყებუჩავამ, უგრელიძემ, ფრიდონაშვილმა, ცომაიამ და სხვა.

რაც შეეხება სოხუმის „ცხუმს“, სეზონის დასაწყისშივე მის წინაშე უამრავი პრობლემა წარმოიშვა.

ფინალი, თანაც გამორჩეული

როგორც გახსოვთ, სოხუმის „დინამო“ ორად გაიყო. ზოგიერთმა ფეხბურთელმა არ ისურვა ახლად დაარსებულ „ცხუმში“ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თამაში და საკავშირო პირველობის პირველ ლიგაში განაგრძო გამოსვლა; მაგრამ, ვისაც წლეულს ერთხელ მაინც უნახავს „ცხუმის“ თამაში, დაგვეთანხმება, რომ მას ბევრი არაფერი დაჰკლებია. აღნიშვნას იმსახურებს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის ა. ნორაკიძის პატრიოტიზმი. როგორც გახსოვთ, მისი თაოსნობით სოხუმის „დინამომ“ პირველი ლიგის საგზური მოიპოვა. ამის შემდეგ ნორაკიძემ თავი დაანება სამწვრთნელო მუშაობას, მაგრამ „ცხუმის“ ჩამოყალიბების მერე კლუბის ფეხბურთელთა და გულშემატკივართა თხოვნით ნორაკიძე ახლად შექმნილ გუნდს სათავეში ჩაუდგა, რაც აშკარად დაეტყო კიდევაც „ცხუმს“. ამის დასტურია ისიც, რომ „ცხუმმა“ საქართველოს თასის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

აღნიშვნის ღირსია ერთი ფაქტიც — კლუბი მთლიანად ადგილობრივი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. წლევანდელი სეზონი „ცხუმმა“ შესესტებული შემადგენლობით დაიწყო, დროთა განმავლობაში კი კოლექტივს დაუბრუნდა ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც მანამდე საქართველოს სხვადასხვა გუნდში იყო შემოფანტული. ყოველივე ამის შემდეგ სოხუმელთა გუნდი ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა ჩემპიონატში. შემადგენლობიდან მინდა გამოვყო მეკარე ჟორჟოლიანის საიმედო თამაში, თავდამსხმელების — გოგრიჭიანისა და ჯიშკარიანის ოსტატობა, რომელთა სათამაშო კლასი დღითი დღე იხვეწება.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ წარმართეს სათასო მატჩები ფინალში მოასპარეზე გუნდებმა. მეთექვსმეტედფინალში ლანჩხუთის „გურიამ“ ორი შეხვედრის ჯამში დაამარცხა ზესტაფონის „მარგვეთი“ 4:0, 0:2. მერვედფინალში „გურიამ“ გალის „მზიურს“ სძლია 4:2, 0:1. მეოთხედფინალში ლანჩხუთელთა მეტოქე „ქუთაისი“ იყო. „გურიამ“ შინ ყოველგვარი იმედი გადაუწურა მეტოქეს და გამარჯვა ანგარიშით 5:1, საპასუხო შეხვედრა კი მინიმალური ანგარიშით 0:1 დათმო. ასევე დამაჯერებლად ჩაატარა ლანჩხუთის „გურიამ“ ნახევარფინალური შეხვედრები თბილისის „იბერიასთან“, რომელიც დაამარცხა სტუმრადაც (1:0) და საუკთარ მოედანზეც (2:0). სოხუმელები მეთექვსმეტედფინალში ოჩამჩირის „ამირანს“ შეხვდნენ. შინ გამარჯვების შემდეგ (2:1), „ცხუმმა“ განმეორებითი მატჩი ფრედ — 2:2 დაამთავრა. მერვედფინალში მისი მეტოქე ბოლნისის „სიონი“ იყო. ორრაუნდიანი ბრძოლის შემდეგ — 1:1, 0:0 მეტოქის მინდორზე გატანილი ბურთის წყალობით „ცხუმი“ მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს რუსთავის „გორდას“ შეხვდა. ამჯერადაც მეტოქის მინდორზე გატანილი ბურთის წყალობით „ცხუმმა“ ნახევარფინალის საგზური მოიპოვა — რუსთავში შეხვედრა მასპინძელთან გამარჯვებით 2:1 დამთავრდა, ხოლო საპასუხო მატჩი თავის მინდორზე „ცხუმმა“ 1:0 მოიგო. ნახევარფინალში „ცხუმმა“ შინ გამანადგურებელი ანგარიშით — 4:0 დაამარცხა ბათუმის „ბათუმი“, ასევე სოხუმელთა გამარჯვებით დამთავრდა შეხვედრა ბათუმში — 1:0.

ზაზა კახაძე

დიეგო მეორე

დიეგო სიმეონე წარმოშობით არგენტინელია, ფეხბურთს კი იტალიაში თამაშობს. ამ ქვეყნის ჩემპიონატის მეორე ტურში „ლეჩესთან“ შეხვედრის დროს მან ოსტატურად აუარა გვერდი ორ მცველს და ბურთი გადაუგდო წინ გამოსულ მეკარეს. „პიზას“ თავდამსხმელის ამ მანევრს ჟურნალისტებმა კვირის ულამაზესი გოლისათვის დაწესებული პრიზი მიანიჭეს.

20 წლის არგენტინელი, რომელიც პირველი სეზონია იტალიაში თამაშობს, ახალბედად არ ჩაითვლება ფეხბურთში. მან უკვე შვიდი შეხვედრა ჩაატარა არგენტინის ნაკრებში და ერთხელ გოლიც გაიტანა. კარლოს ბილარდომ იგი რატომღაც არ წაიყვანა იტალიაში მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ, ამის მიუხედავად, „პიზას“ პრეზიდენტმა რომეო ანკონეტანიმ დაუფიქრებლად გადაუხადა „არგენტინოს ხუნიორს“ მილიონ 300 ათასი დოლარი.

ანკონეტანის იცნობენ, როგორც ფეხბურთის კარგ სპეციალისტსა და გამოცდილ ბიზნესმენს. ასეთმა კაცმა მუდამ იცის სად დაადანდოს კაპიტალი. პრეზიდენტის განცხადებით, თუ სიმეონემ არ უკლო თამაშს, სეზონის ბოლოს იგი სამჯერ უფრო ძვირი ეღირება.

ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იტალიაში გატანილ პირველ გოლს, — თქვა ჟურნალისტებთან საუბარში ფეხბურთელმა, — იმიტომ, რომ უნდა მოვიპოვო გულშემატკივრების ნდობა, უნდა დავიმსახურო მათი სიყვარული. ფეხბურთის მოყვარულს კი თავს ვერ მოაწონებ ისე, გოლი თუ არ გაიტანე. მით უფრო, როცა თავდამსხმელი ხარ. ჯერჯერობით მე მარადონას სახელს ვატარებ მხოლოდ, მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, მსურს მასსავით ვითამაშო.

იტალიაში სპეციალისტთა უმრავლესობას სიმეონე ნიჭიერ და პერსპექტიულ ფეხბურთელად მიაჩნია. მაგრამ, ვინ უწყის, გახდება თუ არა იგი „დიეგო მეორე“.

• • •

1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოსამზადებელ პერიოდში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს გერმანელი ფეხბურთის სპეციალისტი გერმან ნოიბერგერი. იგი ცნობილია როგორც დიდი საფეხბურთო ორგანიზატორი, ამჟამად ხელმძღვანელობს გერმანიის საფეხბურთო კავშირს და ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატზე რეკომენდებულია ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ.

გ. ნოიბერგერი მეექვსედ გახდება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

ლონდონი. ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩებზე ახლა მაყურებელთა გაცილებით მეტი რაოდენობა მოდის, ვიდრე ბოლო წლებში. როგორც სააგენტოები იუწყებიან, ეს გამოწვეულია იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისელთა გარკვეული მიღწევებით. სტადიონებზე ასეთი დასწრება ინგლისს არ ახსოვს 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შედეგ.

● **როდესაც** ეგვიპტის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატიდან შინ დაბრუნდა, მწვრთნელი მაჰმუდ ელ გოჰარი ეროვნულ გმირად გამოცხადდა. ახლა კი იგი სამარცხვინოდ გააძევეს გუნდიდან. ამის მიზეზი გახდა ეგვიპტელთა გამანადგურებელი მარცხი საბერძნეთში 1:6. გოჰარის შემცვლელი ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ უკვე გამოცხადდა, რომ ახალი მწვრთნელი ევროპიდან იქნება მოწვეული.

● **კიდევ** ორი ბრაზილიელი ითამაშებს იტალიურ კლუბებში. „ჯენოვამ“ პორტუგალიის „პორტოდან“ მიიწვია მცველი ბრინკო, ხოლო „ჩეზენამ“ ურუგვაის „დეპორტივო ესპანიოლში“ შეიძინა ნახევარმცველი სილაში. საინტერესოა, რომ სილაშს ურუგვაიში პრაქტიკულად არც უთამაშია. იგი მხოლოდ ერთი თვის წინ გადავიდა იქ პორტუგალიის „სპორტინგიდან“.

● **ლონდონის** „სანდი ტაიმსის“ ცნობით, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას განზრახული აქვს წამოაყენოს თავისი ქვეყნის კანდიდატურა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლად.

● **პოლანდიის** II ლიგის კლუბმა „გოუ ეჰედმა“ (ქალაქი დევენტერი) გააფორმა კონტრაქტი 21 წლის თავდამსხმელ იან მიოლერთან. მიოლერი თამაშობს ფარერის კუნძულების ნაკრებში და იმ ქვეყნის პირველი წარმომადგენელია, ვინც უცხოეთის კლუბმა შეიძინა.

● **ბუენოს-აირესში** გამოცხადდა, რომ დიეგო მარადონას სურს იყიდოს თავისი ყოფილი კლუბი „ბოკა ხუნიორსი“. მარადონას განზრახული აქვს, „ნაპოლიში“ თამაშის დამთავრების შემდეგ სწორედ ამ კლუბში დაიწყოს მწვრთნელის კარიერა, საბოლოოდ კი არგენტინის ნაკრების საჭესთან დადგეს.

● **არგენტინის** რეგიონალური პირველობის მატჩში დაიღუპა 21 წლის მეკარე კლაუდიო ჰაინტცი. მისი კლუბი „ბლანკო ი ნეგრო“ ხვდებოდა „ატლეტიკო ნასიონალს“, ჰაინტცი კი ამ დღეს სათადარიგოთა სკამზე იჯდა. თამაშის მსვლელობისას ტრიბუნაზე დაიწყო ჩხუბი, რომელიც მინდორზე გაგრძელდა. ფეხბურთელებმა სცადეს მოჩხუბართა დაშოშმინება, მაგრამ შედეგი სრულიად საწინააღმდეგო აღმოჩნდა.

● **კიდევ** უფრო საშინელი ცნობა მოვიდა კოლუმბიიდან. კალისა და მედელინის ნარკომაფიების ურთიერთ შეტაკებისას კალის სტადიონზე მოკლეს 18 კაცი.

● **ცნობილმა** ავსტრიელმა მწვრთნელმა ერნსტ ჰაპელმა, რომელიც ახლა „ტროოლს“ ავარჯიშებს, თანაშემწედ მიიწვია დასავლეთგერმანელი ჰორსტ ჰრუბეში. ჰაპელი და ჰრუბეში დიდი ხნის მეგობრები არიან. მათ აკავშირებთ „ჰამბურგში“ გატარებული წლები. საშუნაროდ, ჰრუბეშის მისვლა გუნდში დაემთხვა მადრიდის „რეალთან“ შეხვედრას, რომლის შედეგია — 1:9 (!).

(ხაკ. ინფ.).

გ. კასპაროვ—ა. კარპოვის მატჩის ირგვლივ

„იქნებ თქვენ აგვიხსნათ?“

რა ემართება კასპაროვს? — ასეთი კითხვით მიმართეს მსოფლიო ჩემპიონის გულშემატკივრებმა მიხეილ ტალს, რომელიც ნიუ-იორკში რამდენიმე პარტიას დაესწრო.

— არ ვიცი, რა ემართება, მაგრამ ბოლო პარტიებში რომ იგი ნამდვილ კასპაროვს არ ჰგავდა, ეს ფაქტია; ზედიზედ რამდენიმე შეხვედრაში ყოველგვარი კონცენტრაციის გარეშე თამაშობდა და შეცდომა შეცდომაზე მოსდიოდა. არავინ იცის, რა არის ამ უჩვეულო შეცდომების მიზეზი — დაასკვნა მსოფლიო ექსჩემპიონმა და თვით მიმართა კითხვით გულშემატკივრებს — იქნებ თქვენ აგვიხსნათ რაიმე?!

მკაცრადაც აკრიტიკებს

ესპანელი მწერალი ფერნანდო არაბალი, რომელიც მუდმივად პარიზში ცხოვრობს, საჭადრაკო წრეებში შინაური კაცია. მას საფრანგეთის ეროვნული ოსტატის წოდება აქვს, ესწრება მსოფლიო პირველობის მატჩებს და, ასე განსაჯეთ, ფრანგულ პრესაში კომენტარებსაც კი აქვეყნებს. თუმცა, ამას აშკარად არ აცხადებს, მაგრამ, ეტყობა, არაბალი კასპაროვის გულშემატკივარია, ეს მას ხელს არ უშლის ხანდახან მკაცრად გააკრიტიკოს მსოფლიო ჩემპიონი.

როცა მერვე პარტიაში კასპაროვს ჯერ მოსაგები პოზიცია ჰქონდა, შემდეგ კი სასტიკად შეცდა და მძიმე მდგომარეობაში გადადო პარტია, არაბალმა ჟურნალისტებს განუცხადა:

— ეს პარტია ნამდვილი გამარჯვება გახლავთ... რობერტ ფიშერისა და 16 წლის გატა კამსკისა. არც ერთი და არც მეორე ხელიდან არ გაუშვებდა იმ შეაძლებლობებს, რომლებიც კასპაროვს გააჩნდა. კასპაროვი 4 საათის მანძილზე მართლაც რომ დიდებულად თამაშობდა, მაგრამ დადგა ბრძოლის მეხუთე საათი და ყველაფერი წყალში გადაყარა.

„საფრანგეთი ტოლიას ტერიტორიაა“

ასე თვლიან ახლა მიმომხილველები, რომლებიც ნიუ-იორკიდან ლიონში გადმობარგდნენ.

— რატომ?

იმიტომ, რომ, მათი აზრით, ნიუ-იორკსა და, საერთოდ ამერიკაში, ყველა—დიდი თუ პატარა—კასპაროვს ემხრობოდა. ეს ეტყობოდა სატელევიზიო მიმოხილვებს, რადიოს, გაზეთების ტონს. აქ, შესაძლოა, იმანაც იმოქმედა, რომ კასპაროვი წინ აღუდგა ფიდე-ს პრეზიდენტ ფლორენსიო კამპომანესის გადაწყვეტილებას, შეჯიბრების მფლობელად ლიონში ჩატარების შესახებ. ამის შემდეგ ფიდე-ს ახალი დადგენილება მატჩის ორ ნაწილად გაყოფის თაობაზე ლიონელებისათვის ნამდვილი „ცივი შხაპი“ იყო. ამიტომ ექსპერტები მოელინან, რომ ახლა ისინი მსოფლიო ექსჩემპიონს თანაუგრძნობენ.

კასპაროვი ხშირად სეირნობდა ნიუ-იორკის ქუჩებში, კარპოვი კი არსად ჩანდა. ახლა ვნახოთ, ვინ ისეირნებს ლიონის ქუჩებში?!

„ბარი მაინც გაიმარჯვებს!“

ასე ფიქრობს გამოჩენილი იუგოსლავიელი დიდოსტატი ლიუბომირ ლიუბოევიჩი.

—პირველი ნახევრის ფინიშზე, სუსტი შედეგების მიუხედავად, მე მაინც ვფიქრობ, რომ ბარი მოიგებს ამ მატჩს და შეინარჩუნებს წოდებას. კასპაროვს გადამწყვეტ პარტიებში დიდი ძალით თამაშის რაღაც განსაკუთრებული უნარი აქვს. როცა დაახლოებით 5-6 პარტია დარჩება, ჩემპიონი მაშინ „ჩართავს სიჩქარეს“. კასპაროვს რამდენიმე ისეთი თვისება აქვს. რომელიც მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონებისთვის არის დამახასიათებელი. მანამდე, სანამ სრული ძალით ამოქმედდება, იგი ზოგჯერ საკუთარ თავს რამდენადმე „მოშვებულად“ თამაშის უფლებას აძლევს.

გადაწყვეტს უკანასკნელი სვლა!

ესპანელი მეცენატი ლუის რენტერო თავის ქვეყანაში სისტემატურად აწყობს საჭადრაკო შეჯიბრებებს. ადრე იგი ესწრებოდა კასპაროვ—კარპოვის მატჩს სევილიაში. ახლა კი ნიუ-იორკის შემდეგ ლიონში გამგზავრებასაც აპირებს.

— ხედავთ, რამდენი ესპანელი ჟურნალისტი აშუქებს ამ მატჩს. მისი მსვლელობაც სევილიის მატჩს მაგონებს. კასპაროვი შეეცადა აქ „ძალისმიერი თამაშით“ გასულიყო ფონს, მაგრამ ვერაფერს გახდა და ტაქტიკა შეიცვალა. ვფიქრობ, ამ მატჩის ბედს, ისევე, როგორც ადრინდელი მატჩებისას, უკანასკნელი პარტიის უკანასკნელი სვლები გადაწყვეტს.

„რატომ გაგვიხადეს ასარჩევი“

მსოფლიო ექსჩემპიონმა ბორის სპასკიმ მკაცრად გააკრიტიკა ფიდე-ს ხელმძღვანელობა უთავბოლო მოქმედებისათვის:

— ახლა, როცა კასპაროვ—კარპოვის მატჩი ასე აინტერესებს მთელ მსოფლიოს, ფიდე-ს ხელმძღვანელობამ სხვა ვერაფერი მოიფიქრა და... დაამთხვია მას ნოვი სადის ოლიმპიადა! მე, პირადად, მსოფლიო პირველობის მატჩის კომენტატორი ვიყავი, ახლა კი ნოვი სადში უნდა ვითამაშო. რატომ გაგვიხადეს ასარჩევი? განა კამპომანესმა, რომელიც ნიო-იორკში არ ჩამოსულა და თუნდაც ამით გააოცა საჭადრაკო სამყარო, არ იცოდა, რომ ის, ვინც ლიონში ჩასვლას აპირებს, იძულებული გახდება ოლიმპიადაზე ხელი აიღოს? და რამდენი იქნება ასეთი დიდოსტატი თუ ოსტატი?!

საფრანგეთში ძალზე დიდია მატჩისადმი ინტერესი. აქ, საერთოდ, ჭადრაკს დიდ ყურადღებას აქცევენ და გამოჩნდნენ კიდეც ადგილობრივი დიდოსტატები, პირველ რიგში კი, ჟოელ ლუტიე, რომელიც კასპაროვ-კარპოვის ორთაბრძოლის კომენტატორი იქნება.

„ამათი არ ვიცი, მე კი გავიმარჯვებ!“

პუერტორიკოელი რაბელ გენდესი ფიდე-ს ცნობილი მოღვაწეა. სულ მალე იგი ფიდე-ს პრეზიდენტის წოდებაზე იყრის კენჭს. იგი მატჩის პირველ ნახევარს ესწრებოდა ნიუ-იორკში.

— თქმა არ უნდა, კასპაროვი და კარპოვი თანამედროვეობის უდიდესი მოჭადრაკეები არიან და სახიფათო კონკურენტი დღეისათვის საერთოდ არა ჰყავთ. რაც შეეხება პირველ ნახევარს, მან ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ ისინი დაახლოებით თანაბარი ძალით თამაშობენ და ვერავინ იტყვის, ვინ გაიმარჯვებს. ისე კი, მე რომ მკითხონ, ამ მატჩში ჯერჯერობით ყველაზე უფრო მეტად მეორე პარტია მომეწონა. იგი კასპაროვმა მართლაც რომ დიდებული სტილით მოიგო.

— ამათი არ ვიცი, მაგრამ მე კი ფიდე-ს პრეზიდენტის არჩევნებში უნდა გავიმარჯვო კამპომანესსა და ტორანთან ბრძოლაში. ნიუ-იორკში არც ერთი ჩამოსულა და არც მეორე. ეტყობა, დროს არ კარგავენ, სხვადასხვა ქვეყნებს უკავშირდებიან და მომხრეებს ეძებენ. ეძებონ, მე მათზე გაცილებით უფრო ძლიერი „შტაბი“ მყავს: იური ავერბახი—საბჭოთა კავშირიდან, ლოთარ შმიდი — გერმანიიდან, ზეინ ელ სადათი — ეგვიპტიდან. ავერბახს პროფესიონალ მოჭადრაკეებთან კონტაქტის დამყარების რწმუნებულება ექნება, იგივე როლს შეასრულებს, რასაც კარპოვი ტორანის შტაბში. თუ ესპანელმა გაიმარჯვა, კარპოვი ხომ ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტი ხდება;

მსოფლიო ჩემპიონი კასპაროვი ფიდე-ს პრეზიდენტის არჩევნებში, ცხადია, რაბელ მენდესს უჭერს მხარს. საინტერესოა, რომ 1978 წელს ბუენოს-აირესში პრეზიდენტის არჩევნებისას რაბელ მენდესმა 31 ხმა მოაგროვა და სულ ერთი ხმით ჩამორჩა გამარჯვებულ ფრიდრიკ ოლაფსონს; ამასთან, ორი ხმით გაასწრო მესამე პრეტენდენტ სვეტოზარ გლიგორიჩს.

ასე რომ, ლიონში მყოფ მეტოქეებს ცალი თვალი ნოვი სადისკენ უნდა ეჭიროთ. მართლაცდა, ვინ გაიმარჯვებს, ვისი ფავორიტი?!

ექვს წელს ინახავდა

უკვე არაერთგზის აღინიშნა, რომ ჯერჯერობით ამ მატჩში კასპაროვის მთავარ მიღწევად მეორე პარტიის მოგება ითვლება.

როგორც დიდოსტატმა ეფიმ გელერმა გახაცხადა, მეცხრამეტე სვლაზე ესპანურ პარტიაში ჩემპიონმა თეორიული სიახლე გამოიყენა, რომელსაც კარპოვმა ვერაფერი გაუგო და საბოლოო ანგარიშით სასტიკად დამარცხდა.

საინტერესოა, რას ფიქრობს ამის შესახებ თვით მსოფლიო ჩემპიონი. იგი თამაშის დროს არ ხვდება ხოლმე ჟურნალისტებს, მაგრამ ერთ შემთხვევაში გამონაკლისი დაუშვა.

— ჩემმა მეცხრამეტე სვლამ კარპოვი დიდად გააოცა. გაგანდობთ, რომ ეს გაგრძელება ექვსი წლის წინათ დავამუშავე, როცა კარპოვთან პირველი შეხვედრისათვის ვემზადებოდი. იმ დროიდან მოყოლებული, მისი გამოყენების საშუალება არ მომეცა და დღემდე შემოვინახე. აი, ახლა კი ძალიან გამომადგა.

● **კიდევ ბევრი გაქვთ ასეთი ვარიანტი?**

— საკმაოდ. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როდის მომეცემა მათი გამოყენების საშუალება.

როგორლა შეუტევდა?!

როცა მეათე პარტიაში კარპოვმა ამ მატჩში პირველად (და ჯერჯერობით, უკანასკნელად) რუსულ დაცვას მიმართა, სულ რაღაც 18 სვლაში ყაიმი აღინიშნა, რაც ბევრი მიმომხილველისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

ერთმა გულშემატკივარმა ამ პარტიის შესახებ იხუმრა კიდეც:

— კარპოვის მიერ რუსული დაცვის არჩევა, მართლაც რომ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ბრწყინვალე სვლა აღმოჩნდა. კასპაროვი ხომ რუსეთის დროშით თამაშობს და რუსულ დაცვას როგორღა შეუტევდა?!

ორი განსხვავებული ვირტუოზი

როგორც სოფიის გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ მიმომხილველი, საერთაშორისო ოსტატი დიმიტრ პროდანოვი აღნიშნავს, მეტისმეტად პრაქტიკული კარპოვი, როგორც ყოველთვის, უკიდურესი სიფრთხილით თამაშობს და არასოდეს გადადის რისკის ზღვარს. თუკი მას კარგი სვლის გაკეთების საშუალება აქვს, უკეთესს არ ეძებს.

კასპაროვი, როგორც ყოველთვის, მაქსიმალისტია, „მარტო“ კარგი სვლით არ კმაყოფილდება, უკეთესს ეძებს და ამიტომაც ზოგჯერ მძაფრ ციტნოტში ხვდება. კარპოვი ვერ დაიჩემებს, რომ „სანოკაუტო დარტყმა“ აქვს, კასპაროვს კი შეუძლია განაცხადოს, გამაჩნია ეს ღირსება.

კასპაროვი საკმაოდ ძლიერია, როდესაც დებიუტიდან შუა თამაშში გადადის. კარპოვს სულ სხვა რამ ეხერხება — შუა თამაშიდან ენდშპილში გადასვლა.

ყველაზე ახალგაზრდა, ყველაზე ხანდაზმული

ვინ მოთვლის, რამდენი დიდოსტატი იყო წარმოდგენილი მატჩის პრეს-ცენტრში?! ყველაზე ხანდაზმულს, 80 წლის არგენტინელ მიგელ ნაიდორფს ვისთან აღარ უთამაშია მსოფლიოს პირველ ჩემპიონ ვილჰელმ სტეინიცის გარდა; მსოფლიოს პირველობის რომელ მატჩზე არ ყოფილა, ალიოხინ — ბოგოლიუბოვის ორთაბრძოლებიდან მოყოლებული. მას, ადრე, ვარშავაში მცხოვრებს, ებრაულად მენდელი ერქვა, პოლონურად — მეჩისლავი, 1939 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც საცხოვრებლად არგენტინა ირჩია — მიგელი: ნაიდორფზე სულ ერთი წლით უმცროსია აშშ-ს მრავალგზის ჩემპიონი, პრეტენდენტების ტურნირის არაერთგზის მონაწილე სემუელ რეშევსკი.

ამ ორ ვეტერანს შვილიშვილად, უფრო კი შვილთაშვილად ერგება ყველაზე ახალგაზრდა კორესპონდენტი, 17 წლის დიდოსტატი ჟოელ ლუტიე, ფრანგული ჭადრაკის დიდი იმედი.

მესხისა და მედვედიევას გამარჯვება და მარცხი...

ნიუ-იორკი. აქ მიმდინარეობს ჩოგბურთელ ქალთა სეზონის ბოლო შემაჯამებელი ტურნირი „ვირჯინია სლიმზის“ პროგრამით. შეგახსენებთ, რომ გამარჯვებულისათვის დაწესებულია საკმაოდ დიდი ჯონორარი — 250 ათასი დოლარი.

ერთეულთა თანრიგის მეოთხედფინალში 16 წლის იუგოსლავიელმა მონიკა სელუშმა დაამარცხა ესპანელი არანტა სანჩესი 5:7, 7:6, 6:4. ამერიკელმა მერი ჯო ფერნანდესმა კი შვეიცარიელ მანუელა მალეევას აჯობა 6:2, 6:4.

აქვე მიმდინარე წყვილთა შეჯიბრების პირველ წრეში თბილისელი ლეილა მესხმა და კიეველმა ნატალია მედვედიევამ ტურნირიდან გამოთიშეს ჩეხოსლოვაკიელთა დუეტი — ჰელენა სუკოვა და იანა ნოვოტნა 6:4, 1:6, 6:3, რომლებმაც წლეულს „დიდი მუზარადის“ სამი ტურნირი მოიგეს: უიმბლდონის, ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატები.

მესხ-მედვედიევას დუეტმა მომდევნო შეხვედრაში დამარცხება იწვნია.

ფრანკფურტი. დაიწყო „პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის მსოფლიო ჩემპიონატი“, ტურნირი, რომელშიც რვა უძლიერესი ჩოგბურთელი ვაჟი გამოდის. მონაწილენი ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი. პირველში გაერთიანდ ენ: სტეფან ედბერგი (შვეცია), ანდ ი აგასი, პიტ სამპრასი (ორივე — აშშ) და ემილიო სანჩესი (ესპანეთი), მეორე ჯგუფში თამაშობენ: ბორის ბეკერი (გერმანია), ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), ანდრეს გომესი (ეკვადორი) და თომას მუსტერი (ავსტრია). ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული ჩოგბურთელები იბრძოლებენ პირველი პრიზისთვის, რომელიც 600 ათას დოლარს შეადგენს.

ტურნირის სასტარტო მატჩში ედბერგმა დაამარცხა სანჩესი 6:7, 6:3, 6:1, აგასიმ — სამპრასი 6:4, 6:2, ლენდლმა— მუსტერი 6:3, 6:3, ბეკერმა — გომესი 4:6, 6:3, 6:3. უნდა აღინიშნოს, რომ ბეკერის მონაწილეობა ტურნირში ადრე მიღებული სერიოზული ტრავმის გამო უკანასკნელ. მომენტამდე საეჭვო იყო.

მეორე ტურში ლენდლმა აჯობა გომესს 6:4, 6:1, ბეკერმა — მუსტერს 7:5, 6:4. აგასიმ — სანჩესს 6:0, 6:3.



ინფორმაცია

20 წლის შვედი ფეხბურთელი ტომას ბროლინი, რომელიც ამჟამად იტალიის უმაღლესი ლიგის „პარმაში“ გამოდის, აღიარეს შვეციის 1990 წლის საუკეთესო ფეხბურთელად, მას გადაეცა საგანგებო პრიზი „ოქროს ბურთი“.

„სპორტპროგნოზი“

45-ე ტირაჟის შედეგები
(9-11 ნოემბერი)

1—X, 2—1, 3—1, 4—1, 5—1, 6—2, 7—X, 8—2, 9—2, 10—X, 11—1, 12—1, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
თეიგიზ გაჩეჩილაძე



გიწვევთ რომან რურუას სახელოგის სკოლა

კლასიკური ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის რომან რურუას სახელობის სპორტული სკოლა განაგრძობს მოსწავლეთა მიღებას.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ სკოლის დირექციას, ყოველდღე 9-დან 13 საათამდე. და 15-დან 19 საათამდე.

მისამართი: თბილისი, თემქა, X კვარტალი, კორპუსი 25.

„ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს თანამშრომელს ეთერი ხომერიკს მამის

იაგორ ივანეს ძე ხომერიკის

გარდაცვალების გამო.

ავლაბრის სტადიონი

(ბოჟორმის ქ. № 18)

20 ნოემბერი.

ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

(II ლიგა, აღმოსავლეთის ზონა)

„მრეტები“ (თბილისი) — „შირაქი“ (წითელი წყარო)
დასაწყისი 14 საათზე.

თბილისის არმიის სპორტული კლუბის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა განაგრძობს თავისუფალ, კლასიკურ ჭიდაობაში, ძიუდოს ჯგუფებში მოსწავლეთა ჩარიცხვას. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე 10-18 საათამდე.

სკოლის მისამართია: თბილისი, გურამიშვილის ქუჩა 54. თბილისის არმიის სპორტული კლუბის კომპლექსი. ოთახი № 1, ტელეფონი 23-82-06.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საგზაო ფიზკულტურულ სპორტული კლუბ „ლოკომოტივისა“ და დამოუკიდებელი საგზაო პროფკომიტეტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის ვეტერანი

ერიკ სერგოს ძე ქიქოძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე, კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, 9. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, 9. კოსტავას ქ. 14,
ობიექტია ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20